ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4126481

ნომერი: AR1620466

თარიღი : 01.08.2018

გაცემის თარიღი : 17.08.2018

გაცნობის თარიღი : 19.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიაბი , მიმდებარედ ნაკვ.05/010;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ლეჟავა პ/ნ 01024062576
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 48 კორ. 1 ბ. 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 1 აგვისტოს №AR1620466 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3648011 ბრძანებაში ობიექტის ფუნქციის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3648011 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ნიაბის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ.05/010) N01.17.02.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3648011 ბრძანებაში ტექნიკურ შეცდომის გასწორებას, კერძოდ: საპროექტო ობიექტად სასტუმროს ნაცვლად სასტუმროს ტიპის საცხოვრებელის დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ განმცხადებლის მოთხოვნისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 6 ნოემბრის №1-2444 ბრძანებით ქ. თბილისში, ისნის რაიონში ნიაბის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.005.026) სასტუმროს განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა 2,3-ით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 6 ნოემბრის №1-2444 ბრძანებაში საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირებულია სასტუმრო და სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3648011 ბრძანებაში სამსახურის მიერ ტექნიკური შეცდომის დაშვება არ მომხდარა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ობიექტის ფუნქციასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.